დანართი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის საპრეტენზიო კომისიის საქმიანობის წესი

მუხლი 1. კომისია

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სასწავლო ცენტრის (შემდგომში – სასწავლო ცენტრი) საპრეტენზიო კომისიის (შემდგომში – კომისია) მიზანია, განიხილოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების მსმენელთა პრეტენზიები სასწავლო ცენტრში მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.
2. კომისიის ორგანიზაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

მუხლი 2. პრეტენზიის წარდგენა

1. მსმენელს უფლება აქვს, წარადგინოს პრეტენზია სასწავლო ცენტრში მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.
2. პრეტენზიის წარდგენა დასაშვებია შეფასების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. სასწავლო ცენტრს პრეტენზია წარედგინება წერილობითი ფორმით, რომელშიც აღინიშნება, თუ რა საფუძვლით არ ეთანხმება მსმენელი მიღებულ შეფასებას.

მუხლი 3. კომისიის სხდომა

1. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება მისი ყველა წევრი.
4. კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომაში შესაძლებელია საკონსულტაციო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ სხვა პირებმა.
5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სულ მცირე ორი წევრი.
6. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, ასევე კომისიის მდივანი. კომისიის წევრს, რომელსაც აქვს განსხვავებული მოსაზრება, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 4. გადაწყვეტილება

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს პრეტენზიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.
2. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მსმენელისთვის ქულის მომატების შესახებ;

ბ) მსმენელისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ;

გ) მსმენელისთვის სერტიფიკატის კატეგორიის შეცვლის შესახებ – თუ ახალი შეფასება იწვევს სერტიფიკატის კატეგორიის ცვლილებას;

დ) მსმელისთვის სერტიფიკატის მინიჭების შესახებ – თუ ახალი შეფასება იწვევს სერტიფიკატის მინიჭებას.